რეგიონის ინკლუზიური განათლების სპეციალისტებისთვის შესარჩევი კონკურსი ცხადდება

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი პროექტის „რეგიონული სასწავლო ტური სპეციალური მასწავლებლებისთვის“ ფარგლებში აცხადებს ინკლუზიური განათლების სპეციალისტების შესარჩევ კონკურსს.

პროექტის მიზანია ხელი შეუწყოს ინკლუზიური განათლების განვითრებას რეგიონებში, საშუალება მისცეს რეგიონის სკოლებში დასაქმებულ ინკლუზიური განათლების სპეციალისტებს ჩამოვიდნენ თბილისში და გაიზიარონ თბილისის ყველაზე წარმატებული სკოლების ინკლუზიური განათლების პრაქტიკა, ნახონ, თუ რა ფაქტორები განაპირობებს ინკლუზიური განათლების წარმატებას ამა თუ იმ სკოლაში, შეისწავლონ სწავლების და სსსმ მოსწავლის კლასში/სკოლაში ინტეგრაციის ეფექტური სტრატეგიები.

კონკურსის შედეგად შერჩეული 30 ინკლუზიური განთლების სპეციალიტი მიმდინარე წლის ოქტომბრის თვიდან 10 ინკლუზიურ სკოლაში განაწილდება, სადაც მათ ეყოლებათ სუპერვიზორები. თითოეული ხელმძღვანელი იმუშავებს სამ მასწავლებელთან.

თუ ბრძანდებით ინკლუზიური განათლების სპეციალისტი და დაინტერესებული ხართ აღნიშნულ პროექტში მონაწილეობით, გთხოვთ მოგვმართოთ და წარმოადგინოთ შემდეგი დოკუმენტაცია:

1. CV (აუცილებლად მიუთითეთ, ხართ სპეციალური მასწავლებელი, ინლუზიური განათლების კოორდინატორი თუ ფსიქოლოგი, ასევე მიუთითეთ რაიონი, რეგიონი, სკოლა (უნდა გქონდეთ მოქმედ იხელშეკრულება სკოლასთან), პირადი ნომერი, საკონტაქტო ინფორმაცია: ტელეფონი და ელექტრონული ფოსტა)
2. სამოტივაციო წერილი
3. თქვენს მიერ გავლილი ტრენინგების/კურსების ჩამონათვალი და დამადასტურებელი დოკუმენტაცია (მხოლოდ ინკლუზიური და სპეციალური განათლების შესახებ).

დოკუმენტაცია უნდა გამოაგზავნოთ შემდეგ ელექრონულ მისამართზე: info@tpdc.ge;

უპირატესობა მიენიჭება აპლიკანტს, რომელიც წარმოადგენს მაღალმთიან რაიონს, ან იმ სოფელსა თუ რეგიონს, სადაც ნაკლებ ხელმისაწვდომია სასწავლო მედია (ინოვაციური სასწავლო სტრატეგიები, რესურსები, პროფესიული განვითარების ტრენინგები, კურსები; დარგის ექსპერტების კონსულტაცია და ა.შ.)

მასწავლებლის სახლი უზრუნველყოფს მონაწილეების სასტუმროში განთავსებას, სამჯერად კვებას და ტრანსპორტირებას სასტუმროდან სკოლებში და პირიქით.

შენიშვნა: განაცხადი არ მიიღება პირისგან, რომელსაც მიღებული აქვს აღნიშნულ პროგრამაში მონაწილეობა.